

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

29. 07. 2014 წელი

65/2

----- ქ. თბილისი № -----

2014 – 2015 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის დარეგულირების
შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 20-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 – 2015 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა. 2014 – 2015 სასწავლო წელი უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ საფეხურზე დაიწყოს 2014 წლის 15 სექტემბერს

ბ. სააუდიტორიო მეცადინეობები დამთავრდეს 2014 წლის 26 დეკემბერს

გ. ზამთრის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2015 წლის 12 იანვრიდან 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2015 წლის 02 თებერვლიდან 07 თებერვლის ჩათვლით

დ. 2014 წლის 27 დეკემბრიდან 2015 წლის 10 იანვრის ჩათვლით გამოცხადდეს საშობაო არდადეგები

ე. სემესტრებს შორის არდადეგები გამოცხადდეს 2015 წლის 09 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით

ვ. 2014 – 2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყო 2015 წლის 16 თებერვალს და დამთავრდეს 30 მაისს

ზ. ზაფხულის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2015 წლის 01 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2015 წლის 22 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით

თ. სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე კვირის გარდა. ლექციები დაიწყო 9.00 საათზე

ი. აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთით

2. 2014 – 2015 სასწავლო წლის I სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2014 წლის 05 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 15 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით.

3. 2014 – 2015 სასწავლო წლის II სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის აკადემიური სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2015 წლის 09 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია - 16 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით.

4. სტუდენტებს, რომლებიც ამ ბრძანების მეორე და მესამე პუნქტით დადგენილ ვადებში არ გაივლიან რეგისტრაციას, შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი წესრიგდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს /მ. ხარატიშვილს, ზ. მანაგაძეს, დ. ჯანელიძეს, გ. ცქიტიშვილს/ დაიცვან ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყონ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის რეგისტრაციის ვადების ინდივიდუალურად გაცნობა.

7. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

